საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 2 21 00747196

27/03/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ალექსანდრე ტაბატაძეს

ბატონო ალექსანდრე,

2021 წლის №2452/3-94/21 წერილის პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის (შემდგომში-სასაზღვრო პოლიცია) მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, დანართის სახით წარმოგიდგენთ ინფორმაციას, 2019-2020 წლებში, სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის
მოადგილე თათია ცეცხლაძე

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

2019 - 2020 წლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები

სანაპირო დაცვის გაძლიერება (2019 წელი)

- გარემონტდა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის 10 ოპერაციული მცურავი საშუალება;
- სანაპირო დაცვის დეპარტამენტს გადმოეცა 5 მცირე სწრაფმავალი კატარღა;
- ნატოს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციაში - „ზღვის მცველი“ მონაწილეობის მისაღებად ქართულმა სააბორდაჟო ჯგუფებმა წარმატებით გაიარეს ნატოს სერტიფიცირებისა და შეფასების პირველი დონის 2 ფაზა (SEL - 1; NEL – 1). აღნიშნული შეფასების შემდეგ, ნატომ წარადგინა რეკომენდაციები, რომელიც სასაზღვრო პოლიციის მიერ შესრულებულია. მიმდინარეობს ნატოს შეფასების შემდგომი ეტაპისთვის მზადება;
- ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს - ,,DTRA“ ფინანსური დახმარებით, სანაპირო დაცვის დეპარტამენტს, აბორდაჟის ჯგუფისთვის, გადაეცა აღჭურვილობა;
- ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) ფინანსური დახმარებით, სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის აბორდაჟის ჯგუფს გადაეცა აღჭურვილობა, ასევე, დაკვირვებისა და საკომუნიკაციო სისტემები;
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) კოორდინაციითა და ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, სასაზღვრო პოლიციას გადაეცა სანავიგაციო და კომუნიკაციის საშუალებები;
- სანაპირო დაცვის დეპარტამენტს რუმინეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტომ (RoAid) მყვინთავების თანამედროვე აღჭურვილობის სრული კომპლექტი გადასცა.

საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრი (JMOC)

2019 წელს საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრი გაძლიერდა შემდეგი მიმართულებებით:

- ანალიტიკური უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, დაიწყო ცენტრის მოსამსახურეთა გადამზადება;
- ცენტრი აღიჭურვა სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის აპარატურით;

- ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) ფინანსური დახმარებით, ცენტრს გადაეცა საკომუნიკაციო საშუალებები. ცენტრი აღიჭურვა საზღვაო საინფორმაციო სერვერით;
- შავი ზღვის ქვეყნებსა და საქართველოს სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან მიმდინარეობს თანამშრომლობის გაღრმავება.

ნატოსთან თანამშრომლობა

- 2019 წლის აპრილსა და ოქტომბერში, ნატოს საზღვაო შენაერთის ხომალდები ეწვია საქართველოს. გაიმართა ნატო-საქართველოს ერთობლივი საზღვაო წვრთნები;
- 2019 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ორი მცურავი საშუალება განეცხადებინა ნატოს სარეზერვო ძალებში (NATO Pool of Forces) ოპერაციული შესაძლებლობების კონცეფციის შეფასებისა და უკუკავშირის პროგრამის მეშვეობით (OCC E&F). სანაპირო დაცვის აილენდის კლასის სადარაჯო ხომალდების - (P-23), (P-25) ნატო-ს OCC პროცესში ჩასართავად, მიმდინარეობს მზადება ნატოს მხრიდან გემების შეფასების პროცესისთვის; შეფასების გავლის შემდეგ, აღნიშნული ხომალდები მზად იქნებიან ნატოს სწრაფი რეაგირების მხარდასაჭერად და მცურავ საშუალებებს მიენიჭებათ ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების სტატუსი (NRF).

2020 წელს სანაპირო დაცვის განვითარების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები

- საქართველო - თურქეთის ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში წარმოებული წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დახმარების საფუძველზე, სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის თურქული წარმოშობის 2 მცურავ საშუალებას: სადარაჯო ხომალდს - ,,სოხუმი“ და სადარაჯო ხომალდს - ,,ფოთი“ ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი თურქეთის რესპუბლიკაში;
- სრულად განახლდა სანაპირო დაცვის რადიოსაკომუნიკაციო სისტემა;
- რუმინეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (RoAid), სანაპირო დაცვის დეპარტამენტს მყვინთავების თანამედროვე აღჭურვილობა გადმოსცა;
- სასაზღვრო პოლიციას ნატოს გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლობასთან მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს. ორმხრივად გაფორმებული ტაქტიკური მემორანდუმის ფარგლებში, სანაპირო დაცვის დეპარტამენტი ნატოს ანტიტერორისტული ოპერაციის - „ზღვის მცველი" მხარდამჭერია, ხდება ტაქტიკური და სადაზვერვო ინფორმაციის ურთიერთგაცვლა.

- 2020 წელს, გაფორმდა ურთიერთგაგების ახალი მემორანდუმი სასაზღვრო პოლიციასა და ნატოს გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლობას შორის (MARCOM), რის საფუძველზეც მნიშვნელოვნად გაფართოვდა თანამშრომლობის სფეროები;
- 2020 წელს, მთავრობის დადგენილების საფუძველზე, ალიანსის მუდმივმოქმედი საზღვაო შენაერთების, ასევე, ნატოს ოპერატიულ დაქვემდებარებაში მყოფი ხომალდებისთვის გამარტივდა საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და პორტებში შემოსვლის დიპლომატიური ნებართვების გაცემის წესი;
- 2020 წლის აპრილში, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში გაიმართა ნატოს ხომალდების ვიზიტი;
- 2020 წლის ოქტომბერში, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის აბორდაჟის ჯგუფებმა გაიარეს ნატოს სერტიფიცირების მეორე დონის შეფასების პირველი საფეხური [SEL-2]. შეფასების პროცესის დასრულება დაგეგმილია 2021 წელს, რის შემდეგაც სანაპირო დაცვას ეყოლება ნატოს საზღვაო ოპერაციებში მონაწილეობისათვის მომზადებული, აღჭურვილი და სერტიფიცირებული სააბორდაჟო დანაყოფები.